1985

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 5

1985

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (497) მაისი 1985 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

155. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ა. ლაბახუას საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

156. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არაყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ.

157. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის, აგრეთვე კოლექტიური მებაღეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

158. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

### განყოფილება მეორე

159. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

160. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

161. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის მსახიობებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

162. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკადემიკოს გ. მ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

163. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეებისა და მოსამსახურეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

164. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ს. თუთბერიძისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

165. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ნ. პაპიაშვილისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

166. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. პ. ხუციშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

167. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

168. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

169. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

170. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

171. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

172. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. ნ. გოზალიშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

173. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის მედიცინის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

174. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ი. კორძაიასათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

175. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. დ. ჩიქვაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

176. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. დ. ჯავახიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

177. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

178. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

179. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

180. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

181. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ვ. გელაშვილისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

182. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. მ. კალიტასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

183. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ვ. ჩუდაკოვისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

184. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკადემიკოს გ. მ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

185. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკადემიკოს გ. მ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

186. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ს. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

187. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ზ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

188. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. დ. მგელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

189. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ღ. ჭაპიტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

190. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. სარქისოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

191. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ქ. ნ. ტვილდიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

192. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. რ. ქორქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

193. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. ი. ჩხობაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

194. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. მ. ცეცხლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

195. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ქ. მაღრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

196. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. მ. შატბეროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

197. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

198. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. დ. დიასამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

199. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. შ. ხაჩიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

200. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ნ. ელიაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახაებ.

201. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. გ. მკერვალიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

202. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სტუდენტთა რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

203. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება შრომითი სემესტრების მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

204. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საჯარისო ნაწილებისა და ისტორიის მუზეუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

205. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ვ. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

206. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ნ. მჭედლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

207. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. კ. რუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

208. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. პ. ხოსიტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

209. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ს. ჯომარჯიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

210. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექციის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

211. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ი. მერკვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

212. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ს. სპერანსკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომა

# განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 155 ამხ. ზ. ა. ლაბახუას საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ზურაბ აკაკის ძე **ლაბახუა** საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 11 მაისი.
№ 46—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 156 ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არაყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ

თანამედროვე პირობებში, როდესაც საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, სულ უფრო მეტად მოუთმენელი ხდება ლოთობა. ლოთობა ზიანს აყენებს მშრომელთა ჯანმრთელობას, ხშირად იწვევს ოჯახის დანგრევას, დამღუპველად მოქმედებს ბავშვების აღზრდაზე. ალკოჰოლის ზემოქმედებით ადამიანი კარგავს პასუხისმგებლობის გრძნობას საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, სჩადის ხულიგნობასა და სხვა დანაშაულს. ლოთობა აზარალებს წარმოებას, იწვევს გაცდენებს და შრომის დისციპლინის სხვა დარღვევებს, ავარიებსა და ადამიანთა დაღუპვას.

მშრომელები სამართლიანად მოითხოვენ ლოთობის აღმოსაფხვრელად უფრო ეფექტიანი ზომების მიღებას, მისი ყოველი გამოვლენისადმი შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნას, არაყის შინ გამოხდის გადაჭრით აღმოფხვრას, საზოგადოებრივი წესრიგისა და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

„ლოთობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესაბამისად და ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის, არაყის შინ გამოხდის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1. პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისა და საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის**

1. სპირტიანი სასმელების სმა ქუჩებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა, სადაც სპირტიანი სასმელების ჩამოსხმით გაყიდვა ნებადართულია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალი, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფ მდგომარეობაში ყოფნა გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის დადებას გაფრთხილების ან ჯარიმის სახით ოციდან ოცდაათ მანეთამდე.

იგივე მოქმედება ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში, გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის დადებას ჯარიმის სახით ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში ორჯერ დაედო ადმინისტრაციული სახდელი საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისათვის ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში ყოფნისათვის, გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის დადებას ჯარიმის სახით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ანდა გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ორ თვემდე, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომების მიღება ჩაითვლება არასაკმარისად, — ადმინისტრაციულ პატიმრობას თხუთმეტ დღე-ღამემდე.

2. ამ ბრძანებულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს დღე-ღამის განმავლობაში განიხილავს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსი ან მისი მოადგილე, რომელიც დამრღვევს ადმინისტრაციულ სახდელს დაადებს გაფრთხილების ან ჯარიმის სახით, ხოლო ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან დააჯარიმებს დამრღვევს ან საქმეს მითითებულ ვადაში განსახილველად გაუგზავნის რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს, ამასთან უზრუნველყოფს მის გამოცხადებას.

სახალხო მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად, სასამართლოში მისი შესვლის შემდეგ დღე-ღამის განმავლობაში.

ამ ბრძანებულების პირველი მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დარღვევისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილება სისრულეში მოჰყავთ შინაგან საქმეთა ორგანოებს იმ წესით, რომელიც დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენილია წვრილმანი ხულიგნობისათვის დანიშნული ადმინისტრაციული პატიმრობის აღსასრულებლად.

## II პასუხისმგებლობა წარმოებაში სპირტიანი სასმელების სმისათვის

3. წარმოებაში (სამუშაო ადგილებზე, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შენობებში და ტერიტორიაზე) სპირტიანი სასმელების სმა ან სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა გამოიწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ჯარიმის სახით ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე.

4. ოსტატებს, უბნების, ცვლების, საამქროების უფროსებს და სხვა ხელმძღვანელებს, რომლებიც მონაწილეობდნენ წარმოებაში ხელქვეით მუშაკებთან ერთად სპირტიანი სასმელების სმაში, ან რომლებმაც არ მიიღეს ზომები არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა სამუშაოსაგან ჩამოსაშორებლად ან დამალეს მათი ხელქვეითი მუშაკების მიერ სპირტიანი სასმელების სმის ან სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების შემთხვევები, დაედებათ ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე.

5. ამ ბრძანებულების მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენენ ადმინისტრაცია, ის მუშაკები, რომლებიც იცავენ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, შინაგან საქმეთა ორგანოების (მილიციის) მუშაკები, სახალხო რაზმელები.

ამ ბრძანებულების მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები, სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები.

6. ამ ბრძანებულების მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩამდენთა მიმართ მათთვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე დისციპლინური სახდელის ზომები.

## III. პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა ლოთობაში ჩათრევისათვის

7. მშობლებს ან სხვა პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით არასრულწლოვანის დათრობაში, თუ ეს მოქმედება თავისი ხასიათით არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, დაედებათ ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე.

8. არასრულწლოვანის დათრობა იმ პირის მიერ, რომლისგანაც იგი სამსახურებრივად არის დამოკიდებული, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გა-

გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ანდა ჯარიმით ორასიდან სამას მანეთამდე.

არასრულწლოვანის ჩათრევა ლოთობაში გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

9. საზოგადოებრივ ადგილებში თექვსმეტ წლამდე მოზარდის მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა, აგრეთვე მის მიერ სპირტიანი სასმელების სმა გამოიწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ჯარიმის სახით ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, რომელიც დაედებათ მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს.

10. ამ ბრძანებულების მე-7 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს არასრულწლოვანის მშობლების და მათ შემცვლელ პირთა მიმართ განიხილავენ არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო), ქალაქის რაიონული კომისიები, სხვა პირთა მიმართ — სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები, სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

11. სპირტიანი სასმელების წარმოებასა, შენახვასა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ სამუშაოზე თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირთა მიღება აკრძალულია.

### IV. პასუხისმგებლობა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევისათვის

12. სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკების მიერ არაყით და სხვა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ჯარიმის სახით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე, რომელსაც დაადებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები, სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ლოთობის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ორასიდან სამას მანეთამდე, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მუშაობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

13. მცირე ოდენობით არაყის და სხვა სპირტიანი სასმელების, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების, საკასო და სასაქონლო ჩეკებისა და ტალონების, სანახაობითი და სხვა საწარმოების ბილეთების, წიგნების, ნოტების, გრამფირფიტების, მაგნიტოფონის,

ვიდეოფონის კასეტების და სხვა ფასეულობათა შესყიდვა და გადაყიდვა გამორჩენის მიზნით, თუ გამორჩენის ოდენობა არ აღემატება ოცდაათ მანეთს, გამოიწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ჯარიმის სახით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე, სპეკულაციის საგნების კონფისკაციით.

ამ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეებს ერთპიროვნულად განიხილავს სახალხო მოსამართლე საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

### V. პასუხისმგებლობა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების გამოხდის, გასაღების, შენახვისა და შეძენისათვის

14. გასაღების მიზნის გარეშე შინნახადი არაყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არაყის, ბრაგის ან სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა ან შენახვა, გასაღების მიზნის გარეშე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადება ან შენახვა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნასამართლევი იყო ამ ბრძანებულების მე-14, მე-15 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე.

15. გასაღების მიზნით შინნახადი არაყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არაყის, ბრაგის ან სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა ან შენახვა, ანდა გასაღების მიზნით მათი გამოსახდელი აპარატების დამზადება ან შენახვა, აგრეთვე აღნიშნული სპირტიანი სასმელების ან აპარატების გასაღება გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ანდა ჯარიმით ხუთასიდან ათას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

16. შინნახადი არაყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არაყის, ბრაგის ან სხვა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების შეძენა გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის დადებას ჯარიმის სახით ოცდაათიდან ას მანეთამდე.

17. ამ ბრძანებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსი ან მისი მოადგილე.

### VI. პასუხისმგებლობა ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის

18. მძღოლებს, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებებს, ესე იგი ყველა სახის ავტომობილებს, ტრაქტორებს და სხვა თვითმავალ მანქანებს, ტრამვაი-

ტროლეიბუსებს, აგრეთვე მოტოციკლებსა და სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს მართავენ ნასვამ მდგომარეობაში, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების მართვას გადასცემენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფ პირს, დაედებათ ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით ასი მანეთის ოდენობით ან ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ერთიდან სამ წლამდე.

მძღოლებს, რომლებსაც აქვთ რამდენიმე სახის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება, ამ მუხლით გათვალისწინებულ დარღვევათა ჩადენისათვის ჩამოერთმევათ ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება.

19. პირებს, რომელთაც არა აქვთ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება და მათ ნასვამ მდგომარეობაში მართავენ, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების მართვას გადასცემენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფ პირს, დაედებათ ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით ასი მანეთის ოდენობით.

20. სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებათა სამართავად დაუშვებენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მძღოლებს, დაედებათ ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით ასი მანეთის ოდენობით.

21. ამ ბრძანებულების მე-18-20 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამდებობის პირები კანონით დადგენილი წესით.

22. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ ამ ბრძანებულების მე-18 მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა, განმეორებით ჩადენილი წლის განმავლობაში, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ანდა ჯარიმით სამასი მანეთის ოდენობით, მძღოლისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ადრე ნასამართლევი პირის მიერ, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, მძღოლისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ხუთი წლის ვადით.

23. სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის ან ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძღოლის სატრანსპორტო საშუალებათა სამართავად დაშვება, თუ ამას მოჰყვა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლში მითითებული შედეგები, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით

ვადით ორ წლამდე ანდა ჯარიმით ასიდან სამას მანეთამდე, ამასთან მას ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის ან ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ თანამდებობის დაკავების უფლება ვადით ხუთ წლამდე.

### VII. საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენება

24. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი განთავისუფლება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მასალები განსახილველად გადაეცემა ამხანაგურ სასამართლოს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლოთობასთან ბრძოლის კომისიას, საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან შრომითს კოლექტივს, თუ ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათის და სამართალდამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით მის მიმართ მიზანშეწონილია საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომის გამოყენება.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამხანაგურ სასამართლოს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლოთობასთან ბრძოლის კომისიას შეუძლია ბრალეულის მიმართ გამოიყენოს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომა ფულადი ჯარიმის სახით ორმოცდაათ მანეთამდე.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, ამხანაგური სასამართლო, ლოთობასთან ბრძოლის კომისია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია მოვალე არიან სამართალდარღვევის მიმართ გამოყენებული ზომების შესახებ ათი დღის ვადაში აცნობონ მასალების გამომგზავნ ორგანოს.

### VIII. იმ პირთა ქმედუნარიანობის შეზღუდვა და იძულებითი მკურნალობა, რომლებიც ეძალებიან სპირტიან სასმელებს

25. პირს, რომელიც ეძალება სპირტიან სასმელებს და ამით თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს, შეიძლება სასამართლომ შეუზღუდოს ქმედუნარიანობა და დაუწესოს მზრუნველობა. ამ პირს შეუძლია დადოს ქონების განკარგვის გარიგებანი, აგრეთვე მიიღოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი და განკარგოს ისინი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგების გარდა.

26. ქრონიკული ალკოჰოლიკები, რომლებიც თავს არიდებენ ნებაყოფლობითს მკურნალობას ან მკურნალობის შემდეგ აგრძელებენ ლოთობას, გაიგზავნებიან სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნისათვის ვადით ერთიდან ორ წლამდე.

აღნიშნულ პირთა პროფილაქტორიუმში გაგზავნის საკითხს, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების შუამდგომლობით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო ღია სასამართლო სხდომაზე.

## IX. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ზომები

27. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამარ-თალდარღვევის აღკვეთის, ოქმის შედგენის, აგრეთვე საქმის დროულად და სწორად განხილვის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით შინაგან საქმეთა ორ-განოს (მილიციას) შეუძლია ადმინისტრაციული წესით სამ საათამდე ვადით დააკავოს ასეთი სამართალდარღვევის ჩამდენი და აუცილებლობის შემთხვე-ვაში აწარმოოს დაკავებულის პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.

28. ქუჩაში და სხვა საზოგადოებრივ ადგილას საშუალო ან მძიმე ხარისხის ნასვამ მდგომარეობაში მყოფს მოათავსებენ სამედიცინო გამოსაფხიზლებელში და იქ ყოფნისათვის გადაახდევინებენ საზღაურს დადგენილი ოდენობით.

29. შინნახად არაყს და სხვა შინნახად მაგარ სპირტიან სასმელებს, მათ გამოსახდელ აპარატებს შინაგან საქმეთა ორგანოები (მილიცია) ჩამოართმევენ ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩამდენს და საქმის განხილვის შემდეგ გაანადგურებენ.

30. შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსი, მისი მოადგილე ან სახალხო მო-სამართლე ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათ-ვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ აცნობებენ ადმინისტრა-ციას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას დამრღვევის სამუშაო, სწავლის ან საც-ხოვრებელი ადგილის მიხედვით.

31. პირებს, რომელთა მიმართ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სახდელის ზომები ამ ბრძანებულების 1, მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწი-ნებული სამართალდარღვევებისათვის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზა-ციის ადმინისტრაციას, პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ მოუხსნას პრემიები, გასამრჯელო, საწარმოს, დაწე-სებულების, ორგანიზაციის წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით, არ მის-ცეს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების შეღავათიანი საგზურები; გადაუწიოს საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგითობა.

## X. ლოთობასთან ბრძოლის კომისიები

32. სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლოთობასთან საბრძოლველად გამიზნული საქმიანობის კოორდინაციას აწარ-მოებენ, აგრეთვე ლოთობის გამოვლენათა აცდენისა და აღკვეთის ღონისძიე-ბებს შეიმუშავებენ და განახორციელებენ ლოთობის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები, რომლებიც შეიქმნება საქართვე-ლოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრ-თა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქა-ლაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან. ლოთობის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე შეიქმნას სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან.

ეს კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

33. ლოთობის გამოვლენათა აცდენისა და აღკვეთის ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შეიძლება შეიქმნას ლოთობასთან ბრძოლის კომისიები.

ეს კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ლოთობასთან ბრძოლის კომისიების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

34. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 9, მუხ. 187).

35. ეს ბრძანებულება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1985 წლის 1 ივნისიდან.

36. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით მოამზადოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანოს წინადადებანი ამ ბრძანებულების გამოცემასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 24 მაისი.
№ 79—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 157 საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის, აგრეთვე კოლექტიური მებაღეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ საზაფხულო საბაღე სახლებს, რომელთა მშენებლობა დამთავრებული არ არის 1985 წლის 1 იანვრამდე ან დაწყებულია ამ ვადის შემდეგ, თუ ეს მშენებლობა მიმდინარეობს სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან მშენებლობის დაწყებისას მოქმედი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისაგან გადახვევით,

იმ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მებაღეობის ამხანაგობა, ამგვარი მშენებლობის მწარმოებელი მოქალაქეები შეასრულებენ აღნიშნულ ნორმებს ან თვითონ დაანგრევენ, ანდა ასეთი სახლები დანგრეულ იქნება მათ ხარჯზე.

2. საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის, აგრეთვე კოლექტიური მებაღეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის წესების შემდეგი დარღვევებისათვის ბრალეულ პირებს დაედებათ ადმინისტრაციული სახდელის ზომები:

სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან მშენებლობის დაწყებისას მოქმედი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისაგან გადახვევით საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობისათვის — მოქალაქეებს — ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე;

მებაღეობის ამხანაგობის წევრად მიღების წესების დარღვევისათვის; კოლექტიური ბაღის გასაშენებლად გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობისა და განაშენიანების პროექტის გარეშე ან ამ პროექტის დარღვევით ათვისებისათვის; სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან მშენებლობის დაწყებისას მოქმედი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისაგან გადახვევით საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის ნებართვის მიცემის, ამგვარი სახლების საექსპლუატაციოდ მიღებისათვის; კოლექტიური ბაღის ტერიტორიაზე სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან მისგან გადახვევით საერთო სარგებლობის შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისათვის; უკანონოდ საშენი მასალების გაცემის, სატრანსპორტო საშუალებათა, მექანიზმების, მუშახელის გამოყენებისათვის, მებაღეობის ამხანაგობის ობიექტების მშენებლობაში არასპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციების ჩაბმისათვის — თანამდებობის პირებს — ჯარიმა ას მანეთამდე.

3. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის, აგრეთვე კოლექტიური მებაღეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის წესების დარღვევისათვის ბრალეულ თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს დაეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

4. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

აღნიშნულ დარღვევათა საქმეების განხილვის საფუძველს წარმოადგენს მებაღეობის ამხანაგობის საქმიანობასა და ამ ამხანაგობის ობიექტების მშენებლობაზე კონტროლის განმხორციელებელი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირთა მიერ შედგენილი ოქმი.

...ვნული ბიბლიოთეკა

5. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984, № 12, მუხ. 420) შემდეგი ცვლილებები:

დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის $105^1$ მუხლი:

**„მუხლი $105^1$.** საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის, აგრეთვე კოლექტიური მებაღეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის წესების დარღვევა

მოქალაქეთა მიერ საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობა სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან მშენებლობის დაწყებისას მოქმედი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისაგან გადახვევით —

გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათ მანეთამდე.

თანამდებობის პირთა მიერ საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის, აგრეთვე კოლექტიური მებაღეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის შემდეგი წესების დარღვევა:

მებაღეობის ამხანაგობის წევრად მიღების წესების დარღვევა; კოლექტიური ბაღისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობისა და განაშენიანების პროექტის გარეშე ან ამ პროექტის დარღვევით ათვისება; სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან მშენებლობის დაწყებისას მოქმედი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისაგან გადახვევით საზაფხულო საბაღე სახლების მშენებლობის ნებართვის მიცემა, ამგვარი სახლების საექსპლუატაციოდ მიღება; კოლექტიური ბაღის ტერიტორიაზე სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან მისგან გადახვევით საერთო სარგებლობის შენობათა და ნაგებობათა მშენებლობა; უკანონოდ საშენი მასალების გაცემა, სატრანსპორტო საშუალებათა, მექანიზმების, მუშახელის გამოყენება, მებაღეობის ამხანაგობის ობიექტების მშენებლობაში არასპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციების ჩაბმა —

გამოიწვევს დაჯარიმებას ას მანეთამდე“;

205-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „103-105-ე მუხლებით“ შეიცვალოს სიტყვებით „103-$105^1$ მუხლებით“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1985 წლის 27 მაისი.

№ 94—XI

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 158 „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“.

2. საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“ მიენიჭებათ საწარმოების, გაერთიანებების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და ლაბორატორიების მაღალკვალიფიციურ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, აგრეთვე კვების მრეწველობის მართვის ორგანოების მუშაკებს, რომლებმაც დარგში უწყვეტლივ იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე მოიპოვეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლები, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

3. „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების დაწესებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულებით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1982 წ., № 9, მუხ. 277) დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი:

მე-6 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი მეთოთხმეტე აბზაცი: „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“;

